ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 127

"15" აპრილი 2022 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების" შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის საფუძველზე, ასევე, შპს „აუთდორ.ჯის" (ს/ნ. 205255917) 2022 წლის 07 თებერვლის №19/01220381178-61 და 2022 წლის 25 მარტის №19/0122084533-61 და შპს „სმოდ ედვერთაისინგის" (ს/ნ. 404885512) 2022 წლის 07 თებერვლის №19/01220381199-61 და 2022 წლის 25 მარტის №19/0122084587-61 წერილების და „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების" შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 29 მარტის №22.415.473 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების" შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 29

მარტის №22.415.473 განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე: „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებითა და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების“ შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემული №000001 და №000002 ნებართვებით გათვალისწინებული გარე რეკლამის ნებართვის საფასურის ვადის დარღვევით გადახდისათვის, პირგასამტეხლოს განსაზღვრის შესახებ - დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი საფასურის 0,01%-ის ოდენობით: შპს „აუთდორ.ჯი“ (ს/ნ. 205255917) - ჯამში 52 381,90 ლარი; შპს „სმოდ ედვერთაისინგი“ (ს/ნ. 404885512) - ჯამში 33 307,20 ლარი.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 29 მარტის №22.415.473 განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოს ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ პირებთან, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №1 და №2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების“ შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ №000001 და №000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 29 მარტის №22.415.473 განკარგულების დანართი №1 და დანართი №2-ით განსაზღვრული შეთანხმებების გაფორმება.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტი ძალაში შევიდეს წინამდებარე განკარგულების მეორე პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმებების ამავე განკარგულების გამოცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში გაფორმების შემთხვევაში.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

შეთანხმება

„ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №1 ოქმითა და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების“ შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემული №000001 ნებართვით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს განსაზღვრის თაობაზე

ქ. თბილისი 2022 წ.

ერთი მხრივ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო,** წარმოდგენილი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის, *ირაკლი თავართქილაძის* (პ/ნ: 01024052796) მიერ, მეორე მხრივ **შპს „აუთდორ.ჯი“** (ს/კ: 205255917), წარმოდგენილი [-] (პ/ნ: [-]) მიერ (შემდგომში: ნებართვის მფლობელი)

(შემდგომში ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“)

ვინაიდან, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამების განთავსების ნებართვის მიღების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის №05.10.119 დადგენილების საფუძველზე, გამოცხადებული აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, 2009 წლის 3 აპრილის „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №1“-ის (შემდგომში: ოქმი №1) და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა №000001“-ის (შემდგომში: ნებართვა №000001) შესაბამისად, ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გადაეცა ნებართვის მფლობელს;

ვინაიდან, ნებართვის მფლობელის მიერ 2020-2021 წლების პერიოდში დარღვეული იქნა გარე რეკლამის ნებართვის საფასურის გადახდის ვალდებულება;

ვინაიდან, ნებართვის მფლობელმა 2022 წლის 07 თებერვლის №19/01220381178-61 და 2022 წლის 25 მარტის №19/0122084533-61 წერილებით გამოხატა თანხმობა გარე რეკლამის ნებართვის საფასურის გადაუხდელობისთვის, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი საფასურის 0,01%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს (ჯამში: - 52 381,90 ლარი) განსაზღვრის თაობაზე;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №1 ოქმით გათვალისწინებული გარე რეკლამის ნებართვის საფასურის გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს გადაუხდელი საფასურის 0,01%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების შესრულებამდე.

2. ნებართვის მფლობელი აღიარებს და ადასტურებს, რომ გარე რეკლამის ნებართვის საფასურის ვადაგადაცილებით გადახდისთვის ერიცხება პირგასამტეხლო გადაუხდელი საფასურის 0,01%-ის ოდენობით ვალდებულების დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - ჯამში 52 381,90 ლარის ოდენობით.

3. ნებართვის მფლობელი კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე შეთანხმების მე-2 პუნქტში მითითებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წინამდებარე შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

4. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ოდენობის პირგასამტეხლოს ამავე შეთანხმებით დადგენილ ვადაში გადახდის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს არ აქვს და არ წარმოეშობა რაიმე სახის პრეტენზია ნებართვის მფლობელის წინაშე, ამ უკანასკნელის მიერ ამ შეთანხმების დადების დროისათვის მუნიციპალიტეტისთვის გადახდილი ნებართვის საფასურის ვადაგადაცილებით გადახდიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს მოთხოვნასთან დაკავშირებით.

5. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

6. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ოქმი №1-ისა და ნებართვა №000001-ის განუყოფელ ნაწილს.

7. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გაფორმებულია ნოტარიული წესით.

ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით,

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ირაკლი თავართქილაძე (პ/ნ: 01024052796)

_____

შპს „აუთდორ.ჯის“ სახელით

[-]

_____

დანართი №2

შეთანხმება

„ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №2 ოქმითა და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების“ შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემული №000002 ნებართვით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს განსაზღვრის თაობაზე

ქ. თბილისი **2022 წ.**

ერთი მხრივ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო,** წარმოდგენილი სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის, *ირაკლი თავართქილაძის* მიერ (პ/ნ: 01024052796), მეორე მხრივ **შპს „სმოდ ედვერთაისინგი“** (ს/კ: 404885512), წარმოდგენილი [-] (პ/ნ: [-]) მიერ (შემდგომში: ნებართვის მფლობელი)

(შემდგომში ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“)

ვინაიდან, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამების განთავსების ნებართვის მიღების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის №05.10.119 დადგენილების საფუძველზე, გამოცხადებული აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, 2009 წლის 3 აპრილის „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №2“-ის (შემდგომში: ოქმი №2) და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა №000002“-ის (შემდგომში: ნებართვა №000002) შესაბამისად, ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გადაეცა ნებართვის მფლობელს;

ვინაიდან, ნებართვის მფლობელის მიერ 2020-2021 წლების პერიოდში დარღვეული იქნა გარე რეკლამის ნებართვის საფასურის გადახდის ვალდებულება;

ვინაიდან, ნებართვის მფლობელმა 2022 წლის 07 თებერვლის №19/01220381199-61 და 2022 წლის 25 მარტის №19/0122084587-61 წერილებით გამოხატა თანხმობა გარე რეკლამის ნებართვის საფასურის გადაუხდელობისთვის, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი საფასურის 0,01%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს (ჯამში: 33 307,20 ლარი) განსაზღვრის თაობაზე;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის №2 ოქმით გათვალისწინებული გარე რეკლამის ნებართვის საფასურის გადაუხდელობისთვის პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს გადაუხდელი საფასურის 0,01%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების შესრულებამდე.

2. ნებართვის მფლობელი აღიარებს და ადასტურებს, რომ გარე რეკლამის ნებართვის საფასურის ვადაგადაცილებით გადახდისთვის ერიცხება პირგასამტეხლო გადაუხდელი საფასურის 0,01%-ის ოდენობით ვალდებულების დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - ჯამში 33 307,20 ლარის ოდენობით.

3. ნებართვის მფლობელი კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე შეთანხმების მე-2 პუნქტში მითითებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წინამდებარე შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

4. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ოდენობის პირგასამტეხლოს ამავე შეთანხმებით დადგენილ ვადაში გადახდის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს არ აქვს და არ წარმოეშობა რაიმე სახის პრეტენზია ნებართვის მფლობელის წინაშე, ამ უკანასკნელის მიერ ამ შეთანხმების დადების დროისათვის მუნიციპალიტეტისთვის გადახდილი ნებართვის საფასურის ვადაგადაცილებით გადახდიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს მოთხოვნასთან დაკავშირებით.

5. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

6. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ოქმი №2-ისა და ნებართვა №000002-ის განუყოფელ ნაწილს.

7. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გაფორმებულია ნოტარიული წესით.

ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით,

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ირაკლი თავართქილაძე (პ/ნ: 01024052796)

_____

შპს „სმოდ ედვერთაისინგის“ სახელით

[-]

_____